



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

23

09

2020 წ.

№ 131

ქ. თბილისი

დოკუმენტური ფილმის 2020 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების
კონკურსზე (კონკურსი №2/7) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის დამტკიცების
თაობაზე

სსიპ-კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების მე-4 მუხლის
მე-2 პუნქტისა და სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების
მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:


1. დამტკიცდეს თანდართული „დოკუმენტური ფილმის 2020 წელს პროექტის განვითარების
დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/7) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი“.
2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი)
აი ტი სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების
კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის
ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი

გაგა ჩხეიძე

ვამტკიცებ

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი

 გ. ჩხვიძე
23 სექტემბერი 2020 წელი

დოკუმენტური ფილმის 2020 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე
(კონკურსი #2/7) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი

1. სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წელს 24 ივლისი #111 ბრძანებით გამოცხადებული დოკუმენტური ფილმის 2020 წელს პროექტის დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი #2/7) შემოტანილ პროექტებს განიხილავს სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ეროვნული კინოცენტრი) საექსპერტო კომისია, რომელიც შედგება 5 წევრისგან.
2. საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან №2/7 კონკურსზე შემოტანილ პროექტებს, რის შემდეგაც დათქმულ დროს დგება პროექტების პრეზენტაცია და გასაუბრება თითოეული პროექტის ავტორებთან, ამის შემდეგ კომისიის წევრები კომისიის სხდომაზე აფასებენ პროექტებს თანდართული დანართი 1-ით განსაზღვრული ფორმით 1-დან 10 ქულამდე და წარმოადგენენ მინიჭებული ქულის წერილობით არგუმენტაციას.
3. კომისიის წევრები ახორციელებენ პროექტის შეფასებას თანდართული დანართ 2-ის გათვალისწინებით.
4. საბოლოო შედეგი მიიღება ქულათა დაჯამების შედეგად, საექსპერტო კომისია კონკურსის შედეგებს ეროვნულ კინოცენტრს წარუდგენს დასკვნის სახით.
5. საექსპერტო კომისია რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კინოცენტრს დააფინანსოს ის პროექტები, რომლებიც მიიღებენ ქულათა მაქსიმუმს.
6. ეროვნული კინოცენტრი საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის თაობაზე და განსაზღვრავს თითოეული პროექტისთვის დაფინანსების ოდენობას.

დანართი 1

დოკუმენტური ფილმის პროექტის განვითარება - რეიტინგული სია
კონკურსი 2/7

N	პროექტი	შეფასება
1.		
2.		
3.		
4.		
5.		
6.		
7.		
8.		
9.		
10.		
11.		
12.		
13.		
14.		
15.		
16.		
17.		
18.		
19.		
20.		
21.		
22.		
23.		
24.		

კომისიის წევრი

ხელმოწერა

ე. ს. ს.

დანართი 2.

დოკუმენტური ფილმის პროექტის განვითარების კონკურსზე წარმოდგენილი
პროექტების შეფასების წესი

კონკურსი 2/7

- გთხოვთ, პროექტის შეფასებისას ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ კომპონენტებზე:

1. სცენარი

- იდეა/თემა
- დრამატურგია
- პერსონაჟები

2. რეჟისორი

- რეჟისორის მოტივაცია
- ხედვა
- ვიზუალური მხარე
- წინა ნამუშევარი

3. პროდიუსერი

- პროდიუსერის მოტივაცია
- წინა ნამუშევარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- გთხოვთ, პროექტი შეაფასოთ ერთი საერთო ქულით 1-დან 10-ის ჩათვლით და ეს ქულა ჩაწეროთ რეიტინგული სიის შესაბამის გრაფაში.

- გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენს მიერ მინიჭებული ქულის არგუმენტაცია ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 ნაბეჭდ გვერდს.